ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის
სხდომის ოქმი N02

დაბა ქედა 16 ივლისი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა სილოვან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ოთარი ბოლქვაძე - კომისიის წევრი
ბადრი შავლიძე - კომისიის წევრი
ტარიელ მანველიძე - კომისიის წევრი
თემური ავალინი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვაჟა ბოლქვაძე და გოჩა გათენაძე;

სხდომას ესწრებოდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი

რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

16.07.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ოთარ ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	ბადრი შავლიძე	კომისიის წევრი	
4	ტარიელ მანველიძე	კომისიის წევრი	
5	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
6	თემურ ავალიანი	კომისიის წევრი	
7	გოჩა გათენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირებული განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი: N57/04, 06.07.2020 წ.) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა - სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, საკითხის ინიციიატროს, ქედის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტში შეტანილ იქნას ცვლილებები, კერძოდ:

1. განკარგულების სათაური „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ჩასწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.03.34.508) გარე რეკლამის განთავსებისათვის აუქციონის წესით ნებართვის გაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

2. ასევე განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციალიტეტის მერს (ლ.გორგილაძე), ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 14.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ21.03.34.508) გარე რეკლამის განთავსებისათვის აუქციონის წესით ნებართვის გაცემაზე".

ასევე სხდომის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა განკარგულების მესამე პუნქტის კორექტირებასთან დაკავშირებით წინადადება, რომ განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს არა ქედის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ, არამედ ქედის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა - ჰამიდა ზოიძემ.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნის გათვალისწინებით საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.03.34.508) რეკლამის განტავსებისათვის აუქციონის წესით ნებართვის გაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება დანართი N1-ის სახით.

2.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი: №59/04; 07.07.2020.), რომელიც შეეხება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წლის 15 აპრილს №33 განკარგულებით დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხაში შესატან ცვლილებებს.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე